გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 59

2023 წლის 18 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 26 იანვარს (N 10/202302651-03) შემოსულია სს „სილქნეტის“ (ს/ნ 204566978) წერილი, რომლითაც 3 წლის ვადით, მოთხოვნილია, იჯარის ფორმით გადაეცეს, გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული 14 ცალი გარე განათების ბოძის კონსტრუქცია, საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება).

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2023 წლის 20 თებერვლის N038-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, გორში, პაპიტაშვილის ქუჩის მიმდებარედ 66.00.757 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 14 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 350.00 (სამასორმოცდაათი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/ნ 204566978)

პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, 66.00.757 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 14 (თოთხმეტი) ერთეული გარე განათების ბოძი, განლაგებული ქ. გორში, პაპიტაშვილის ქუჩის მიმდებარედ, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს სს „სილქნეტს“ (ს/ნ 204566978), საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება).

2. საწყისი საპრივატიზებო ფასი: გორში, ცხინვალის გზატკეცილზე 66.00.757 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 14 ერთეულ გარე განათების ბოძზე განისაზღვროს 350 (სამასორმოცდაათი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა 14 (თოთხმეტი) ერთეული გარე განათების ბოძისთვის განისაზღვროს 840 (რვაასორმოცი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს 66.00.757 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 14 ერთეული გარე განათების ბოძი გადაეცემა საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება).

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

საქართველო. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA. GORI MUNICIPAL COUNCIL
218086087

დავით რაზმაძე